საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1159

11/12/2020

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, შპს „კნაუფ გიპს თბილისის“ თაბაშირის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ქ. თბილისში, შპს „კნაუფ გიპს თბილისის“ თაბაშირის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტზე სკოპინგის დასკვნა N93 (27.11.2020);
2. შპს „კნაუფ გიპს თბილისი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N93 (27.11.2020) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „კნაუფ გიპს თბილისს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „კნაუფ გიპს თბილისი“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი